ADIGENI MUNICIPALITY
Digitally signed by ADIGENI MUNICIPALITY
Date: 2020.01.16 17:46:13 +04'00'

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N8

ქ. თბილისი

13 იანვარი 2020 წელი

ერთის მხრივ ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ზაქარია ენდელაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,რიო'' (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ვიქტორ ბაქრაძის სახით,

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის, ნავთობპროდუქციის საავტომობილო საწვავის 2020 წლის კონსოლიდირებული ტენდერის CON190000601, საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლოსაგან, სატენდერო დოკუმენტაციის 5.15 პუნქტის შესაბამისად, გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურის 15 კმ-იანი დაშორების შემთხვევაში, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის გამო და სატენდერო კომისიის მიერ კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემის მეშვეობით CTD.SPA.GE 2020 წლის 10 იანვრს გაცემული ნებართვა № 24370 ნებართვის საფუძველზე,

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში -„ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება"- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე,
კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. კლასიფიკატორი – CPV-09100000 -09132000 - ბენზინი

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ტალონური სისტემის მეშვეობით „გამყიდველის" ავტოგასამართ სადგურებზე „მყიდველისათვის" საავტომობილო საწვავის, კერძოდ: **850 (რვაასორმოცდაათი) ლიტრი ევრორეგულარის ტიპის** საავტომობილო საწვავის მიწოდება.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება **1895,50 (ერთიათასრვაასოთხმოცდათხუთმეტი ლარს და 50 თეთრს) ლარს დღგ-ს ჩათვლით**

3.2. ერთი ლიტრი **ევრორეგულარის ტიპის საწვავის** ფასია 2,23 (ორი ლარი და ოცდასამი თეთრი) ლარი

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტისა და სპეციალური საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის მიერ საწვავის შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდა10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. საწვავი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ საწვავის ტალონების გადაცემის შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებელთან ურთიერთობისას უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შესყიდვების სამსახურის უფროსი ლევან მუმლაძე.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საწვავის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონური ისტემით მომწოდებლის ავტოგასამართი სადგურის ქსელის მეშვეობით დაბა ადიგენში

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნიდან 1 (ერთი) დღეში დაამზადოს და მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონები.

6.3. შემსყიდველისთვის გადაცემული ტალონები გააქტიურდება და მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს მიწოდებული საწვავის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.1.2. უარი თქვას უხარისხო საწვავის მიღებაზე.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. წერილობით აცნობოს მომწოდებელს საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოებების შესახებ.

7.2.2. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საწვავის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. გააფრთხილოს შემსყიდველი საწვავის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ

7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს (კონტროლი) ინსპექტირება, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების 8.1. პუნქტით გათვალისწინებულ (კონტროლს) ინსპექტირებას განახორციელებს შესყიდვების სამსახურის უფროსი ლევან მუმლაძე

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საწვავის ღირებულების 0,1%–ის ოდენობით;

9.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დროულად გადაუხდელი თანხის 0,1%–ის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შიძლბე ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მერე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება, პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისაგან საწვავის ყოველი მიწოდების თაობაზე მოთხოვნის (წერილობითი ან/და ზეპირი) მიღებისას, მხარეები ვალდებულნი არიან მიმწოდებლის მიერ საწვავის მოთხოვნის მიღების დღეისათვის არსებული მონაცემების გამოყენებით მოახდინონ ფასების გადაანგარიშება, ამ მუხლით განსაზღვრული წესით და თუ ადგილი ექნება 3.2 მითითებული ფასების შეცვლის საფუძველს, შემდგომში სპეც. ანგარიშ-ფაქტურით დაადგინონ ახალი ფასები. თუ ამ საფუძველს არ ექნება ადგილი, ძალაში დარჩება მხარეებს შორის ბოლო შეთანხმების ფასი. ფასი ძალაში დარჩება გადაანგარიშებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადით. თუ კი შემსყიდველი აღნიშნულ ვადაში არ მოახდენს საწვავის შესყიდვას, გადაანგარიშებული ფასები კარგავს ძალას და შემსყიდველი ვალდებული იქნება ხელახლა წარმოუდგინოს მიმწოდებელს საწვავის მოთხოვნის შესახებ განაცხადი.

10.2. ფასის შესაძლო ცვლილებების შესახებ მეორე მხარის გაფრთხილება ან რაიმე სახის შეტყობინების გაგზავნა სავალდებულო არ არის.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ინტერესთა კონფლიქტი

12.1საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში „მიმწოდებელთან“.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 10 მარტის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია
საიდენტიფიკაციო კოდი: №222729162
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგარიშის ნომერი: სახელმწიფო ხაზინა
ა/ა GE24NB0330100200165022;

მუნიციპალიტეტის მერი ზაქარია ენდელაძე

შ.პ.ს ,,რიო''
მისამართი: დაბა ადიგენი, ა. ბალახაშვილის 15ა
საიდენტიფიკაციო კოდი: №421276461
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: სს ,თიბისი ბანკი“, TBCBGE22;
ანგარიშის ნომერი: GE06TB7847436080100005

დირექტორი ვიქტორ ბაქრაძე